ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 227

ქალაქი ქუთაისი 8 აგვისტო 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილების თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტების, 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2025 წლის 8 აგვისტოს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“** მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„**მუხლი 1.** განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 12 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – საკრებულოს 16 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – საკრებულოს 14 წევრი;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – საკრებულოს 13 წევრი;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 15 წევრი.

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
შემ. № 66
13 08 2025 წ.

მუხლი 2. დამტკიცდეს პარტია **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები (კვოტების რაოდენობა 17 წევრისათვის - 34):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 7 წევრის ოდენობით.

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„პროგრესის პლატფორმის“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები (კვოტების რაოდენობა 7 წევრისათვის - 14):

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში –3 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 3 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა 11 წევრისათვის – 22) :

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 4 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 4 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ 2024 წლის 27 მარტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 54-ე სხდომის საოქმო გადაწყვეტილება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2024 წლის 27 მარტის №153 ბრძანება.“

(ამონაწერი საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 აგვისტოს
94-ე სხდომის ოქმიდან ბრძანების დედანთან ერთვის)

მუხლი 2. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. გრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ——— ირაკლი შენგელია